



საქართველო  
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.  
LAGODEKHI  
2700 GEORGIA  
LAGODEKHI MUNICIPALITY  
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000009181694819

№ 13-ი

29 / მარტი / 2019 წ.

## განკარგულება

### ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, სანყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

#### მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონება, (საკადასტრო კოდი 54.01.56.254) ქ.ლაგოდეხში რუსთაველის ქ. № 1-ში მდებარე ორსართულიანი შენობის (ყოფილი № 1 საშუალო სკოლის შენობა) ნაწილი - 443,8 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, უზურფრუქტის ფორმით გადასცეს ქორეოგრაფიული სტუდია „იმედს“.

#### მუხლი 2

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონება, (საკადასტრო კოდი 54.08.59.010) სოფელ ცოდნისკარის ადმინისტრაციული შენობის ნაწილი - 48,6 კვ.მ, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, უზურფრუქტის ფორმით გადასცეს ქალთა და ახალგაზრდობის სათემო ცენტრს „ცოდნის კარს“.

#### მუხლი 3

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

#### მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

